საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1421/01
06/02/2020

1421-01-2-202002061403

შპს „ოპტიკალ სისტემს ინკის"

მის: თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქ.N72,
კორპ. 10, სადარბაზო I, ბინა N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 იანვრის N902 წერილი, რომელიც ეხება „მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იელის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვიშრობული ოქროს მომპოვებელი) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის" სკოპინგის ანგარიშს.

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის ტყის ფონდი. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის 57 კვ.მ. ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში. აღნიშნულ ფართობზე ნებისმიერი საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსთან და შესწავლას დაგეგმილი საქმიანობა რა გავლენას მოახდენს ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია 4-5 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც განიცდის ეროზიას მდინარის წყალუხვობის გამო. აღნიშნულის შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია მდინარის წყალუხვობის და ტერიტორიის ეროზიის შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

- სკოპინგის ანგარიშის გვ. მე-9 ვხდებით ურთიერთგამომრიცხავ და შეუსატყვისი შინაარსის წინადადებებს, ვინაიდან აღნიშნულია რომ საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გვხვდება მურყნის და ბალახეულის იშვიათი საფარი, ხოლო მომდევნო აბზაცის მიხედვით საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან. ამასთან დაზუსტებას საჭიროებს ფლორისა და ფაუნის კვლევის შედეგები, ვინაიდან სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი სახის ინფორმაცია. სკოპინგის ანგარიშში განხილული არ არის ზემოქმედება წყლის და მასზე დამოკიდებულ სახეობებზე, რაც აგრეთვე საჭიროებს დაზუსტებას;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა ორი სალექარი. აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია, ვინაიდან საწარმოს გეგმაზე (ნახ.3) ნაჩვენებია სამი სალექარი; ამასთან სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სალექარების გაწმენდის ეფექტურობის შესახებ;

- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად სახიფათო ნარჩენები შესაძლებელია წარმოიქმნას საწარმოს მოწყობის ეტაპზე. დაზუსტებას საჭიროებს რა სახის სახიფათო ნარჩენებზეა საუბარი სკოპინგის ანგარიშში;

- ზედაპირულ წყალზე ზემოქმედების ნაწილში არ არის განხილული საავტომობილო გადაზიდვებით წყლის დაბინძურების საკითხი, ვინაიდან საქმიანობა ხორციელდება მდ. ენგურის უშუალო სიახლოვეს;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმო მოიხმარს 242231 ტონა წყალს, ხოლო წყალაღება გათვალისწინებულია საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული „ტექნიკური რეგლამენტი“-ს თანახმად. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან სკოპინგის დანართში ზედაპირული წყლის ობექტიდან წყლის ამოღებაზე მოცემული რეგლამენტის მიხედვით, წელიწადში სულ დაგეგმილია 652,2 მ³ (652,200 ტ.) წყლის აღება. ამასთან გაცნობებთ, რომ ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტის შეთანხმების ვალდებულება არ ვრცელდება იმ საქმიანობებზე, რომლებიც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

- სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს მეორე, მესამე და მეოთხე უბნების ათვისების დროს მისასვლელი გზების მოწყობის საკითხი;

- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური ნაწილის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წერილში მოცემულ საკითხებთან ერთად (ყველა ხარვეზის/უზუსტობის გათვალისწინებით) უზრუნველყოფილი იქნება განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენა სამინისტროში.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე